ტექნიკური დავალება

1. **სავალდებულოდ შესასრულებელი საკანონმდებლო ნორმები**
   პრეტენდენტმა მომსახურების გაწევისას და ფასების ცხრილის თითოეული პოზიციის განფასებისას უნდა იხელმძღვანელოს ქვემომითითებული ბრძანებებით განსაზღვრული კვების ნორმებითა და მენიუ-განრიგებით:
   1.1 საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის №388 – №01-18/ნ ერთობლივი ბრძანება „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების განსაზღვრის შესახებ“;
   1.2 "საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა მთავარი სამმართველოს მოსამსახურეთა, სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვის მთავარი სამმართველოს მოსამსახურეთა, სპეციალური პენიტენციური სამსახურის სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დაწესებულების მოსამსახურეთა მატერიალურ-სასურსათო უზრუნველყოფის ნორმების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 8 აპრილის N 393 ბრძანება.

2. **კვებით მომსახურების გაწევის პირობები:**
   2.1 კვებითი მომსახურება უნდა განხორციელდეს 2019 წლის 1 ივლისიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მთელი პერიოდის განმავლობაში უწყვეტად (1280 დღე). ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე ხელშეკრულების დადების და მომსახურების გაწევის დაწყების ამ პუნქტით განსაზღვრულ თარიღში შეუძლებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულების ღირებულების დაანგარიშება და გასაწევი მომსახურების ვადის გამოთვლა განხორციელდება გასაწევი მომსახურების ფაქტობრივად დარჩენილი დღეების რაოდენობის შესაბამისად.
   2.2 სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებული ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა, ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა მთავარი სამმართველოს მოსამსახურეთა, გარე დაცვის მთავარი სამმართველოს სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა და პენიტენციური დაწესებულებების მოსამსახურეთა სატენდერო პირობებით განსაზღვრული რიცხვი შესაძლებელია იყოს უფრო ნაკლები ან განსაკუთრებულ შემთხვევებში - უფრო მეტი. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას ყოველდღიურად (არაუგვიანეს 18:00 საათისა) კომპანიას მიაწოდოს დაწესებულებაში არსებული ბრალდებულების/მსჯავრდებულების და მოსამსახურეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე დღეს არ განხორციელდა ამ პუნქტში მითითებული ინფორმაციის შეტყობინება, მიმწოდებელმა უნდა იხელმძღვანელოს ბოლო დღეს მიწოდებული ინფორმაციით.
   2.3 2.2 ქვეპუნქტში აღნიშნული ინფორმაციის შესაბამისად, მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს საჭირო რაოდენობის ულუფის მომზადება და შემსყიდველის მხრიდან უფლებამოსილ პირზე გადაცემა შესაბამისი დოკუმენტაციის თანხლებით. აღნიშნული დოკუმენტაცია გამოყენებული იქნება მიმწოდებელთან ანგარიშსწორებისას.
   2.4 მიმწოდებლის მიერ კვების მენიუში დაუშვებელია ცვლილებების შეტანა შემსყიდველთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე, ხოლო შეთანხმების შემდგომ, შესაძლებელი იქნება ერთი დღის მენიუს გადანაცვლება სხვა დღის მენიუთი, რომელიც დაბალანსებული იქნება არაუგვიანეს 2 (ორი) კვირის ვადაში. დაუშვებელია ჩანაცვლების ნორმების გამოყენება შემსყიდველთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების

გარეშე, ხოლო ასეთი უკიდურესი აუცილებლობა მიმწოდებლის მიერ დადასტურებული უნდა იყოს სათანადო დოკუმენტაციით.

2.5 მიმწოდებელმა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა კონკრეტული პენიტენციური დაწესებულებიდან ახალ პენიტენციურ დაწესებულებაში გადაადგილების შემთხვევაში ან/და ახალი პენიტენციური დაწესებულების გახსნის შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს ანალოგიური მომსახურება.

2.6 მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს კვებითი მომსახურების მიწოდება იმ შემთხვევაშიც, თუ ტექნიკური დავალების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ბრძანებებში შევიდა ცვლილებები (მაგალითად: შეიცვალა დღიურ რაციონში შემავალი პროდუქტების ჩამონათვალი, ცვლილება შევიდა მენიუ-განრიგებში ან/და დაემატა ახალი კვების ნორმა და სხვა). აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე შესაძლებელია ხელშეკრულების ღირებულების გადახედვა შესაბამისი დასაბუთების და ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.

2.7 მშრალი სასურსათო ნორმის შეუფერხებლად მიწოდების უზრუნველყოფისთვის მიმწოდებელი ვალდებულია ასეთი სახის მომსახურების გაწევის ადგილას მუდმივად იქონიოს არანაკლებ 45 მოსამსახურისათვის განკუთვნილი მშრალი კვების მარაგი (დამატებითი საჭიროებისათვის). აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება მომსახურების გაწევის ვადის გასვლის ბოლო 10 კალენდარულ დღეზე.

2.8 მიმწოდებელმა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთათვის, სამხედრო სავალდებულო მოსამსახურეთა და დაწესებულების მოსამსახურეთათვის კვების მომსახურების გაწევის ადგილებზე უნდა იქონიოს არამალფუჭებადი პროდუქტების არანაკლებ ორი კვირის მარაგი (აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება მომსახურების გაწევის ვადის გასვლის ბოლო 10 კალენდარულ დღეზე) რომელიც უნდა ინახებოდეს შესაბამის დაწესებულებაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების დაცვით, დალუქულ მდგომარეობაში; პროდუქტების ვარგისიანობის ვადა არ უნდა იყოს სამ თვეზე ნაკლები. მიმწოდებელი ვალდებულია აკონტროლოს პროდუქციის ვარგისიანობის ვადები, მოახდინოს პროდუქციის დროული ჩანაცვლება და სამსახურის უფლებამოსილ პირებთან ერთად ხელახალი დალუქვის პროცედურების წარმოება.

2.9 ბრალდებულების/მსჯავრდებულების, მოსამსახურეების ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, განახორციელოს მათი ექიმის მიერ დანიშნული კვების ულუფით (დიეტა) უზრუნველყოფა.

2.10 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ბრალდებულების/მსჯავრდებულების კვება სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში ან/და სასამართლოში გადაყვანისას, რაც უნდა განახორციელოს საკვების ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი სპეციალური კონტეინერებით (რომელიც უზრუნველყოფს საჭირო ტემპერატურული რეჟიმის დაცვას და საკვების საგემოვნო თვისებების შენარჩუნებას).

2.11 ულუფის მომზადებისათვის საჭირო კვების პროდუქტების მიწოდება/ტრანსპორტირებას ახორციელებს მიმწოდებელი.

2.12 მიმწოდებელი ვალდებულია კვებითი მომსახურების გაწევისას გამოიყენოს მაღალი ხარისხის საკვები პროდუქტი, პროდუქციის უვნებლობა და ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს, ისევე როგორც დანართი N3-ით გათვალისწინებულ ტექნიკურ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს;

2.13 ხორცის პროდუქტები (საქონლის ხორცი, ქათამი) უნდა იყოს არაგაყინული, ყოველ შემოტანილ პროდუქციას უნდა ახლდეს ვეტერინარული მოწმობები (ფორმა N2).

2.14 მიმწოდებელმა წელიწადში ერთხელ აღდგომის დღესასწაულისათვის უნდა უზრუნველყოს თითოეული ბრალდებულის/მსჯავრდებულისათვის 1 ცალი სააღდგომო პასკის მიწოდება, იმ პერიოდისათვის არსებული ბრალდებულების/მსჯავრდებულების რიცხოვნობის შესაბამისად.

2.15 შემსყიდველის წინასწარი შეტყობინების საფუძველზე მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს პენიტენციურ დაწესებულებებში არსებულ არასრულწლოვან ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის სადღესასწაულო (დაბადების დღის აღსანიშნავი) ნამცხვრის მიწოდება, მათზე გადასაცემად (წელიწადში მაქსიმუმ 60).

2.16 შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარადგინოს შესყიდვასთან დაკავშირებული პროდუქტების ნებისმიერი სახის დოკუმენტი (წარმოშობის ან სხვა სახის სერტიფიკატი, შესყიდვის და სხვა დოკუმენტაცია).

2.17 კვების მენიუ-განრიგში გამოყენებული კერძების მომზადებისას მიმწოდებელმა უნდა იხელმძღვანელოს სარეკომენდაციო წესებით (დანართი N8-ის შესაბამისად).

3. მატერიალურ -ტექნიკური მოთხოვნები და პირობები კვებით მომსახურების გაწევისას

3.1 მიმწოდებელი დანართ N5-ში განსაზღვრულ მომსახურების გაწევის ადგილებზე უზრუნველყოფილი იქნება კვებითი მომსახურების გაწევისათვის საჭირო ფართით (კვების ბლოკი). მიმწოდებელს ასევე გადაეცემა სამზარეულოს ინვენტარი და მოწყობილობა-დანადგარები დანართი N4-ის შესაბამისად;

3.2 მიმწოდებელმა მიღება-ჩაბარების აქტით უნდა გადაიბაროს მომსახურებისათვის საჭირო არსებული ინვენტარი, მოწყობილობა-დანადგარები (დანართი N4-ის შესაბამისად) დროებით სარგებლობაში ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღის განმავლობაში (ხელშეკრულების მოქმედების ვადით);

3.3 მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით დროულად უნდა აწარმოოს მასზე გადაცემული ინვენტარისა და მოწყობილობა-დანადგარების (დანართი N4-ის შესაბამისად) სარემონტო-შესაკეთებელი სამუშაოები, ხოლო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ დაუბრუნოს შემსყიდველს მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემული ქონება, გამართულ მდგომარეობაში. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ინვენტარი/ მოწყობილობა-დანადგარი მიმწოდებლის მიერ ექსპლუატაციის პროცესში დაზიანდა და არ ექვემდებარება შეკეთებას, მან უნდა ჩაანაცვლოს ანალოგიური ან უკეთესი ტექნიკური პარამეტრების მქონე ინვენტარით/მოწყობილობა-დანადგარით.

3.4 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ამისათვის საჭირო რაოდენობის აუცილებელი წვრილმანი ინვენტარით (დანები, კოვზები, ჩამჩები, ჯამები, პატარა ქვაბები და პენიტენციურ დაწესებულებებში ნებადართული ინვენტარი);

3.5 მიმწოდებელმა 2019-2022 წლებში უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ განსაზღრულ კვების მომსახურების გაწევის ადგილებზე სამზარეულოსათვის საჭირო აღჭურვილობის (მოწყობილობა-დანადგარები, ინვენტარი და ა.შ.) შეძენა-მონტაჟი საკუთარი ხარჯით. სამზარეულოს აღჭურვილობის ზუსტი სახეობა, ტექნიკური მახასიათებლები და რაოდენობა განისაზღვრება შემსყიდველის მიერ, ხოლო მიმწოდებლის მიერ გასაწევი ხარჯი წლების მიხედვით შეადგენს: 2019 წელი - 400,000 (ოთხასი ათასი) ლარი, 2020 წელი - 300,000 (სამასი ათასი) ლარი, 2021 წელი - 300,000 (სამასი ათასი) ლარი, 2022 წელი - 300,000 (სამასი ათასი) ლარი. გაწეული ხარჯის ოდენობა თითოეულ წელს (რომელშიც იგულისხმება მხოლოდ მატერიალური ფასეულობებით ობიექტების აღჭურვაზე უშუალოდ გაწეული ხარჯები, მათ შორის მონტაჟზე გაწეული ხარჯები) დადასტურებული უნდა იქნეს სსიპ - ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან აკრედიტებული შემფასებელთა სერტიფიკაციის ორგანოს სერტიფიცირებული შემფასებლის მიერ, რომელიც უფლებამოსილია გასცეს შესაბამისი დასკვნა ინვესტიციის ოდენობაზე. შემსყიდველი იტოვებს, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის გადამოწმების უფლებას. გაწეული ხარჯის ოდენობა თითოეულ წელს არ უნდა იყოს ამ პუნქტით განსაზღვრულ ოდენობაზე ნაკლები. ამასთან, იგი შესაძლებელია აღემატებოდეს წლის დადგენილ ოდენობას არაუმეტეს 5%-ით.

3.6 ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მიმწოდებელი შემსყიდველს მიღება-ჩაბარების აქტით გადასცემს 3.3 და 3.5 პუნქტით განსაზღვრულ საქონელს, გამართულ მდგომარეობაში.

3.7 კვებითი მომსახურების გაწევისას თითოეულ პენიტენციურ დაწესებულებაში დაასაქმოს არანაკლებ 5 (ხუთი) ბრალდებული/მსჯავრდებული, დასაქმების მსურველი

ბრალდებულის/მსჯავრდებულის არსებობის შემთხვევაში (გარდა იმ სამუშაოებისა, რომელთა შესასრულებლად ბრალდებულის/მსჯავრდებულის დასაქმება აკრძალულია პენიტენციური დაწესებულების დებულებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიეკუთვნება სახელმწიფო საიდუმლოებას), თითოეული დასაქმებულის შრომის ანაზღაურება უნდა იყოს თვეში არანაკლებ 600 ლარი.

4. **მოთხოვნები პურის საცხობის მოწყობის მიზნით**

4.1 მიმწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს სამი თვის ვადაში უნდა მოაწყოს პურის საცხობები და განათავსოს ექსპლუატაციისათვის ვარგისი მანქანა - დანადგარები, მოწყობილობები და საჭირო ინვენტარი შემსყიდველის მიერ საამისოდ წინასწარ განსაზღვრულ ფართზე პენიტენციური დაწესებულებების ტერიტორიაზე (ორი აღმოსავლეთ და ერთი დასავლეთ საქართველოში). თითოეულ პურის საცხობს უნდა გააჩნდეს ყოველდღიურად არანაკლებ 2500 კგ. პურის წარმოების შესაძლებლობა.

4.2 ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მიმწოდებელი შემსყიდველს მიღება-ჩაბარების აქტით გადასცემს 4.1 პუნქტით განსაზღვრულ ქონებას, გამართულ მდგომარეობაში.

4.3 პურის საცხობების მოწყობამდე მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს კვებითი მომსახურების გაწევის მიზნით საჭირო რაოდენობის პურის მიწოდება გარე ქსელიდან.

4.4 პურის საცხობის მოწყობისთანავე თითოეულ საცხობში დაასაქმოს არანაკლებ 10 (ათი) ბრალდებული/მსჯავრდებული, დასაქმების მსურველი ბარლდებულის/მსჯავრდებულის არსებობის შემთხვევაში (გარდა იმ სამუშაოებისა, რომელთა შესასრულებლად ბრალდებულის/მსჯავრდებულის დასაქმება აკრძალულია პენიტენციური დაწესებულების დებულებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიეკუთვნება სახელმწიფო საიდუმლოებას), თითოეული დასაქმებულის შრომის ანაზღაურება უნდა იყოს თვეში არანაკლებ 600 ლარი.

5. **ფართის გადაცემის პირობები**

5.1 ხელშეკრულების გაფორმებისთანავე მიმწოდებელს გადაეცემა ფართი პურის საცხობების მოწყობის მიზნით, ასევე სასადილოების ფართი კვების მომსახურების გაწევის ვადით. იჯარის ხელშეკრულების გაფორმება განხორციელდება საქართველოს მთავრობის ნებართვის საფუძველზე, რასაც უზრუნველყოფს შემსყიდველი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში;

5.2 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მასზე გადაცემული ფართის იჯარის ღირებულების გადახდა (დანართი N6-ის შესაბამისად), ყოველწლიურად, იჯარის ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში;

5.3 საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი უზრუნველყოფს მიმწოდებელს ალტერნატიული ენერგომატარებლებით, ალტერნატიული წყალმომარაგებით და სხვა სახის კომუნალური მომსახურებით.

5.4 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს იჯარით გადაცემულ ფართზე საკომუნიკაციო-გაყვანილობების და სავენტილაციო სისტემის გამართული ფუნქციონირება (კერძოდ: საკანალიზაციო სისტემის გაწმენდა, სანტექნიკისა და ელექტრო სისტემების მოვლა-პატრონობა, სავინტილაციო სისტემების წმენდა და ა.შ), ხოლო დაზიანების შემთხვევაში შეკეთება ან ახლით ჩანაცვლება, ასევე საჭიროების შემთხვევაში საცხობებისა და სასადილოების ფართის შიდა სარემონტო/სამშენებლო სამუშაოები.

5.5 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების მიმდინარეობის პერიოდში ობიექტებზე სანიტარულ-ჰიგიენური პირობების ყოველდღიური დაცვა, დალაგება სველი

წესით სარეცხი და სადეზინფექციო ხსნარების გამოყენებით (მათ შორის ინვენტარის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით შენახვა და ექსპლუატაცია), მავნე მწერებისა და მღრღნელების საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება იმ სიხშირით, რაც აუცილებელი იქნება მათგან დასაცავად, უზრუნველყოს მწერებისაგან დასაცავი ბადეების, საჭერების და სხვა საშუალებების განთავსება ობიექტებზე.

6. **დამატებითი მოთხოვნები**

6.1 ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისათვის აუცილებელია მიმწოდებელს გააჩნდეს სახელმწიფო საიდუმლოებაზე დაშვება. გამარჯვებულმა პრეტენდენტმა ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შემსყიდველ ორგანიზაციაში, სათანადო წესით უნდა წარმოადგინოს ფორმა N4 და ფორმა N3.

6.2 მიმწოდებელი ვალდებულია კვებითი მომსახურების გაწევისთვის მასთან შრომით ურთიერთობაში მყოფ ბრალდებულს/მსჯავრდებულს ყოველთვიურად აუნაზღაუროს გაწეული შრომის საფასური.

6.3 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს გადაცემულ ფართზე საჭიროების შესაბამისად - დენის, წყლისა და ბუნებრივი აირის მრიცხველის კვანძის მოწყობა (გამხოლოება) საკუთარი სახსრებით ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს სამი თვისა, ასევე მომსახურების გაწევის მთელ პერიოდზე უზრუნველყოს მოხმარებული კომუნალური ხარჯების საფასურის ანგარიშსწორება;

6.4 მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნიდან გამომდინარე, მიმწოდებელი ვალდებულია შეისყიდოს და გამოიყენოს პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიერ ნაწარმოები საკვები პროდუქცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6.5 კვების შემდგომ მორჩენილი საკვების, მზა პროდუქტების, ასევე სხვა ნარჩენების განკარგვას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

6.6 მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს დღის განმავლობაში კვების შემდგომ მორჩენილი საკვებისა და მზა პროდუქტების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შენახვა, დახარისხება, შესაბამისი ზომის გადასატან კონტეინერებში მოთავსება და ყოველი დღის ბოლოს (არაუგვიანეს 21:00 საათისა) შემსყიდველისათვის გადაცემა.

6.7 მომსახურების გაწევის სრულ პერიოდზე მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს მის სახელზე გაცემული, მომსახურების გაწევის პერიოდში მოქმედი საერთაშორისო ISO 9001 და ISO 22000 სტანდარტის დამადასტურებელი სერტიფიკატი.